

### ირმა რატიანი (საქართველო)

#### კაი ყმა

თენგიზ კიკაჩიშვილი აპრილის თვეში, ხარება დღეს აღესრულა. აღსასრულამდე ერთი კვირით ადრე უკანასკნელი ლექცია წაიკითხა თავის სათაყვანებელ უნივერსიტეტში, ხელჯოხზე დაყრდნობილი, უკანასკნელად გამოუყვა დერეფნებს, კიბეებს, მერე კი კედელს მიეყრდნო, რათა სული მოეთქვა და... სწორედ ამ დროს უკანასკნელი ფოტო გადაუღეს სტუდენტებმა: მაღალი, ყრუ კედელი და მასზედ მიყრდნობილი დაღლილი, ფიქრიანი კაცი... ერთ კვირის შემდეგ ბოლო გზაზე მივაცილებდით მას, ჭეშმარიტ ქართველს, გამორჩეულ ადამიანსა და პიროვნებას, თაობების აღმზრდელს. გამოთხოვება ძალზედ სევდიანი იყო, ვინაიდან ქვეყანას მისი დაუღალავი გულშემატკივარი, უნივერსიტეტს კი – ჭეშმარიტი მოამაგე ტოვებდა.

„მრავალნი არიან ჩინებულნი და მცირედნი რჩეულნი“ – ეს სიტყვები სავსებით ესადაგება ბატონი თენგიზის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზას, ერთიანად გასხვიოსნებულს თავისი ქვეყნისადმი ერთგულებითა და თავდადებით. აი, რას ნერდა თავად:

„ეროვნულ-განმათავისუფლებელი ჭიდილის არსს ზოგად-კონკრეტულად და იდეურ-ემოციურად, და რაც ხაზგასასმელია, შინაგანი რწმენის შეურყევლობით გამოვხატავ შემდეგი ფრაზეოლოგიებით: „ზნეობრივი კომპრომისის ხარჯზე ვერასოდეს შედგება სრულყოფილი ზეიმი სულისა, რასაც თავისუფლება ჰქვია“. არასოდეს მიშვებულა სარბიელზე სიკეთე-სიკარგის დოლის ცხენი ფაფარში ჩაფრენილი ეშმას უჩხრეკად, თუმცა არასოდეს უთქვამს და არც არასოდეს იტყვის იგი უარს მარადუამულ, დაუმონებელ სირბილზე!! ეს უკანასკნელი მაქსიმა, რომ მუდამ მოქმედი იყოს, უნდა ამოიძირკვოს სენი, რომელიც სჭირს ზოგიერთს – ეროვნული ხის ფესვებისადმი ურწმუნობა“.

ამ პათოსით იცხოვრა. ამ პათოსით ემსახურა თავის ქვეყანას და მის უპირველეს უნივერსიტეტს. მიუხედავად უმძიმესი პირადი ტრაგედიისა, არ გატეხილა, არასოდეს შეუნყვეტია თავისი პროფესიული მოვალეობის შესრულება, არ უღალატია კოლეგებისა და სტუდენტებისთვის. სტუდენტები... მათი ცრემლი განსაკუთრებით ძვირფასია ბატონი თენგიზისათვის – 1993 წელს სწორედ მათი კბილა ვაჟი, საქართველოს სახელით დაღუპული რატი კიკაჩიშვილი მიაბარა მინას. არავინ დაუმძიმებია თავისი დარდით და მხოლოდ წლების შემდეგ, მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებაში „მარადის არის წიგნი“ პირველად გამოხატა პიროვნული და ეროვნული ტკივილით გაჯერებული ფიქრები შვილზე, საქართველოს წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე, პირველად ახადა ფარდა იდუმალებით მოსილ ადამიანურ განცდებს.

მის ლექციებზე ტევა არ იყო! ვერ თავსდებოდა სტანდარტებში, ვერაფრით ეტეოდა ჩარჩოებში – ყოველი შემდეგი ლექცია ახალ იმპროვიზაციებს მოასწავებდა, მიმართულს მისთვის ესოდენ ძვირფასი სამყაროსაკენ, რომელსაც ლიტერატურა ერქვა. უაღრესად პროდუქტიულად მუშაობდა. მის მონოგრაფიებს, ცალკეულ ნარკვევებსა და სტატიებს სათანადო ღირებულება ჰქონდათ და აქვთ მათთვის, ვისაც ლიტერატურის თეორიისა და ქართული ლიტერატურის პრობლემები აინტერესებს. მისი ნაშრომები ქართველი კლასიკოსი მწერლების ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ალ. ყაზბეგის, კ. გამსახურდიას, გ. ტაბიძის და სხვათა შემოქმედების შესახებ სამაგიდო წიგნებია. არც აქ სცნობდა სტანდარტებს: მნიშვნელოვან ლიტერატურულ პრობლემებთან ერთად თავისუფლების იდეის ისტორიას იკვლევდა, მისი გამოვლინების ტრადიციულ და განსხვავებულ ხერხებს, რაც არსებითი იყო მისთვის არამარტო როგორც მეცნიერის, არამედ როგორც ადამიანისათვის...

ბევრი ტკივილი იწვნია: დევნა, პოლიტიკური პატიმრობა, გაძევება უნივერსიტეტიდან... გასულ წელს ბოლო გზაზე გააცილა თავისი სიყვარული – საოცრად სათნო მეუღლე, შემდეგ კი – ერთადერთი ძმაც. თუკი რატის ხსოვნა სახლის კედელზე დახატულ კომპოზიციაში ამოკვეთა, მეუღლეს უნაზესი ლექსებით დაემშვიდობა. მან იცოდა ტკივილის გემო, თუმცა სიხარულის გემოც იცოდა. და ეს სიხარული ჯერ შვილიშვილები, მერე კი შვილთაშვილები იყვნენ.

მოახლოებულ დასასრულს თავადაც გრძნობდა, მაგრამ, ჩვეული სიჯიუტით იკრებდა ძალებს და მაინც მიუყვებოდა უნივერსიტეტის დერეფნებს, მაინც შედიოდა აუდიტორიაში, რათა გატაცებით ესაუბრა ლიტერატურაზე, ფერწერაზე, თავისუფლებაზე, ადამიანურ ურთიერთობებზე, ვინაიდან მისი მიზანი არასოდეს ყოფილა მხოლოდ პროფესიონალების აღზრდა, არამედ – ადამიანების, კარგი ქართველების აღზრდა. სრულიად გათეთრებული და ჯოხზე დაყრდნობილი პროფესორის ლექციები ორმხრივად შეთანხმებულ რიტუალს წააგავდა: ის კიდევ ერთხელ შეიგრძნობდა ახალგაზრდებთან ურთიერთობით მოგვრილ ბედნიერებას, ხოლო ახალგაზრდები კიდევ ერთხელ უსმენდნენ სალექციო კათედრასთან მდგომ ნამდვილ პროფესორს – ღირსეულს, სინდისიერს, პირნათელს თავისი ქვეყნისა და ოჯახის, მოწაფეებისა და სტუდენტების წინაშე.

სტუდენტების ხმა:

„ბატონი თენგიზ კიკაჩიშვილი.

ამაყი ვარ, რომ მისი სტუდენტი ვიყავი, და თანაც კარგი...“

მე ის სტუდენტი ვიყავი, ვისაც 12 წლის წინ, მისი უნივერსიტეტის დერეფანში ჩავლისას, განცდა ჰქონდა, ქარმა დაუბერაო, ვისაც ორ ხელჯოხზე დაყრდნობილიც ახსოვს და უამრავი ისტორიის გახსენება შეუძლია იმ გზიდან, სადაც წარმოუდგენელი შიში წარმოუდგენელ სიყვარულად შეიცვალა...“

რას გვასწავლიდა?

– ოფიციალურად – ლიტერატურათმცოდნეობას, რეალურად კი ცხოვრებისმცოდნეობას...

უნდა დარჩენილიყო, აი, ვამბობ, რომ  
ბატონი თენგიზი სულ უნდა ყოფილიყო  
და სულ უნდა დარჩენილიყო...

ძალიან მტკივა!  
ძალიან ბევრი იყო!  
ნათელში იყოს, ნათელში ისედაც იყო!..“

... მას ჰქონდა რეგალიები: დაჯილდოვებული იყო ივ. ჯავახიშვილის მედ-  
ლით, ღირსების ორდენით, საქართველოს პრეზიდენტის ბრწყინვალეების ორდენ-  
ით, მაგრამ მთავარი მისი რეგალია იყო კაი-ყმობა, რომელსაც ვერც ერთი  
სახელმწიფო და ვერცერთი მთავრობა ვერც ერთ დროში ვერ მიანიჭებს ადამიანს  
– არამედ მხოლოდ უფალი.

## მხატვრული ნაწარმოების სტილისტური ანალიზისთვის\* (ფრაგმენტი პროფესორ თენგიზ კიკაჩიშვილის ლექციიდან)

...მხატვრულ თხზულებაში, ლიტერატურულ ნაწარმოებთა ტიპოლოგიური კლასიფიკაციის სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვადასხვა სიფართოვითა და მრავალფეროვნებით ამოიკითხება ამა თუ იმ ეპოქის ყოფაისტორიული მოვლენის სახით, საზოგადოებრივი იდეალების მიმართება, მორალურ-ეთიკური, ფსიქოლოგიური მდგომარეობის მნიშვნელობა. ლიტერატურული ნაწარმოები, როგორც მხატვრული შემეცნების ნაყოფი გარკვეულ საზოგადოებრივ პირობებში წარმოიქმნება, რაც ლიტერატურულ ნაწარმოებში/პროცესში მისი როლისა და დანიშნულების განმსაზღვრელ პირობად იქცევა.

მხატვრული სამყაროს შექმნის ლოგიკა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ რეალიზდება ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა შემოქმედთან განსხვავებული მნიშვნელობით, მაგრამ ყველა შემთხვევაში „ერთადერთი გასაგები ენა“, ასე ვთქვათ, მხატვრულ ფორმაში პოულობს გამოხატულებას და ამ „ენის“ შესწავლა შეუძლებელია ლინგვისტური მეთოდებით, საჭიროა სხვა წესზე („მხატვრული ენა“-ლიტერატურული ნარატივის ფორმა) დაფუძნება. თუ მკვლევარი ფორმაში მხოლოდ მეტყველების თავისებურებას გულისხმობს და არა ენობრივ მასალაზე შექმნილ მხატვრულ რეალობას, მაშინ იგი კარგავს შინაარსის ქეშმარიტი კვლევის უნარს. ლიტერატურული ფორმის ნაცვლად ლიტერატურული მასალის (ე.ი. სიტყვის, მეტყველების, ენის) შესწავლას უცილობლად მივყავართ ლიტერატურული საგნის და არა მისი შინაარსის შესწავლამდე. მართლაც, ნაწარმოების ფორმის თავისებურებათა წარმოჩენის, მისი სპეციფიკის ძიებისა და გამომზეურების გარეშე თხზულება ბევრად მოსალოდნელია მშრალი ინფორმატიულობით შემოიფარგლოს, რაც, ცხადია, დაავიანებს მას, შეუფერხებს სამყაროს მხატვრული ასახვის ფუნქციას.

რა თქმა უნდა, დაუშვებელია ფორმის, როგორც ფილოსოფიური კატეგორიის შესახებ „თვითნებური“ მსჯელობა, მისი მონყვეტა შინაარსისგან, უამკავშიროდერთის ან მეორის წარმოდგენა, რამეთუ, მსგავსი ვითარება ხელოვნების მიღმურ მდგომარეობას წარმოაჩენს უკვე. მხატვრულობა მხოლოდ და მხოლოდ ფორმისა და შინაარსის ჰარმონიული შეთანაბრებით აღესრულება. ამის ნიადაგზე კი აღმოცენდება ყოველივე ის, რასაც ხელოვნების არსის გაგება ახლავს და ისიც, რასაც კონკრეტული მხატვრული ნაწარმოები ჰქვია. ლიტერატურული ნაწარმოები ხომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, როგორც მხატვრული შემოქმედების ნაყოფი, გარკვეულ საზოგადოებრივ პირობებში წარმოიქმნება, რაც, ჩვეულებრივ, ლიტერატურულ პროცესში მისი როლისა და დანიშნულების განმსაზღვრელ პირობად იქცევა.

\* სალექციოჩანაწერის მოწოდებისათვის ჟურნალის რედაქცია მადლობას უხდის სამაგისტრო პროგრამის – „ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და სარედაქციო-საგამომცემლო საქმე“ სტუდენტს, ირინე კომახიძეს.

ლიტერატურულ პროცესში ნაწარმოების ადგილისა და როლის შეფასება ლიტერატურათმცოდნეობის არსებითი, ძირითადი ფუნქციაა. ხოლო ლიტერატურათმცოდნეობამ სავსებით რომ გამოამზეუროს და ნათელი მოჰფინოს დარგის აზრს, ერთ-ერთ მთავარ ამოცანად უნდა დაისახოს, როგორც ამა თუ იმ ნაწარმოების სხვა თხზულებასთან თანაფარდობის დადგენა (ცალკეულ დამახასიათებელთა ინდივიდუალური თავისებურების გამოკვეთით), ისე ამ ნაწარმოებთა ჟანრულ თავისებურებათა სისტემისა და ისტორიულ ვითარებათა ტიპურობის კვლევა. მხატვრული ტექსტის იდეურ-შინაარსობრივი ღირებულების დადგენას, მისი სახისა და მხატვრული განსახიერების ფორმების გამომზეურებას, ერთი სიტყვით, მისი, როგორც ხელოვნების ნაწარმოების მრავალფეროვან გააზრებას, სათანადოდ განაპირობებს სტილისტიკური ანალიზი. ცნობილია, რომ ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა შემოქმედთან სხვადასხვანაირ მხატვრულ სახედ რეალიზდება, რაც იმის მაუწყებელია, რომ მწერლები განსხვავდებიან ემოციურ-ასოციაციური ხედვით. გამორჩეული ინდივიდუალობის მქონე მწერლები მუდამ მიისწრაფვიან, რომ საქვეყნო მოვლენები, საზოგადოებრივი ურთიერთობანი, საგანთა მნიშვნელობა თუ ადამიანური ვნებანი ზედმიწევნით ზუსტ და მთავარ ფოკუსში მიმართული სიტყვებით, ფრაზეოლოგიით გამოხატონ. მეცნიერება ლიტერატურის შესახებ ძნელად გასააზრებელია ამა თუ იმ მხატვრული ნაწარმოების სიტყვიერი ფორმების მრავალმხრივი ანალიზის გარეშე. თხზულების „ენობრივი“ ქსოვილის კვლევის გზა ერთი საშუალებაა ნაწარმოების არსის შესაცნობად, მაგრამ აქ უნდა შემოვსაზღვროთ საძიებელი პრობლემის მიმართულება, ანუ ყურადღება უნდა მივაპყროთ იმ თვალსაზრისს, რომელიც მიისწრაფვის „მხატვრული ენის“, ლიტერატურათმცოდნეობითი სიბრტყის გააზრებისკენ.

საკვლევი პრობლემის ძიების ასპექტით უმნიშვნელოვანეს ყურადღებას იპყრობს მხატვრული ფორმის მიმართ შემოქმედის დამოკიდებულების, მისი ხასიათის ნათელყოფა: გამოსახვის რა ფორმებს იყენებს მწერალი, თხრობის სტრუქტურის რომელ ელემენტებზე ამახვილებს ყურადღებას, სიუჟეტის განვითარების რაგვარი დინამისიკენ მიისწრაფვის, რათა ყველაზე მაქსიმალური ორგანიზებულობით განახორციელოს მიზანი – სათქმელს ხორცი შეასხას სახეობრივად...